პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის ---- ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს“ მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე ლ. ჩანქსელიანი

საქართველო
ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების
საკოორდინაციო ცენტრი"
Georgia
Non-Entrepreneurial/Non-Profit/Legal Entity
"Tskaltubo Municipality Tourism Development Coordination Center"

N 126/43
15.10.2024

43-126-2-202410151348

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ

გიგზავნით ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს 2024 წლის I - II კვარტლის შესრულების ანგარიშს.

იხილეთ დანართი

ვერა ზურაბიანი

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი"

5400 ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №39ა, ☎ 591446094 (0436)22-46-76
5400 Tskaltubo. Rustaveli St. №39a Tel: 591446094 (0436)22-46-76
E-mail: Tskaltubo.centertourism@gmail.com

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს 2024 წლის I –II კვარტლის ანგარიში

- ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი ყოველწლიურად ვახორციელებთ სარეკლამო ბროშურების ბეჭდვას, შესაბამისად ამ წელსაც განვაახლეთ საინფორმაციო მასალა.

აქტივობები:

- ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი იმყოფებოდა სვანეთში, კერძოდ მესტიაში, გემო - ფესტის გახსნაზე.

  - გასტროტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, სვანეთში ორდღიანი კულინარიული ფესტივალი ჩაატარა, სადაც მოწყობილ იქნა სამეწარმეო ბაზარი და მუსიკალური სივრცეები. ფესტივალზე მონაწილეობდნენ ადგილობრივი მზარეულები, კვების ობიექტები და საოჯახო სასტუმროები.
  - მოგახსენებთ რომ გემო-ფესტის მიზანია რეგიონებში სამზარეულოს პოპულარიზაცია და ადგილობრივი მეწარმეების განვითარება.

- წყალტუბოს ტურისტულ პოტენციალს სტამბოლის, კერძოდ EMITT 2024 გამოფენაზე გაეცნენ:

  გამოფენაზე მსოფლიოს 95 ქვეყნიდან 595-მა ტურისტულმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. ასევე გამოფენას 150ზე მეტი ტუროპერატორი ესწრებოდა.
  EMITT 2024- 30 000 მდე ვიზიტორი ეწვია.

- წყალტუბოს ტურისტულ პროდუქტებს ბალტიისპირეთშიც გაეცნენ.

  წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრმა რეგიონის ტურისტული პროდუქტები, ქალაქ რიგაში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე წარადგინა.

  გამოფენაზე წყალტუბოს ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი პოზიციონირებდა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად.

- 2024 წლის 8-მარტს ბათუმში კომპანია Expo Batumi- ის ორგანიზებით გაიმართა წიგნისა და განათლების მე-2 საერთაშორისო გამოფენა

- Batumi Book & Education 2024-ის მიზანია წიგნის პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა.

  გამოფენაზე მიწვეულ იქნა, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.

- 2024 წლის 30 ივნისს სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია სვანეთის DMO- სახელით გაიმართა „ჰ" ლიშობის საერო დღესასწაული, რომელიც საუკუნეების მანძილზე იმართება სვანეთში მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად. დღესასწაულზე მიწვეული იქნა და შესაბამისად ესწრებოდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები.

ტრენინგები:

- მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით არაერთი მოკლევადიანი სასწავლო კურსი ხორციელდება, რომლის მიზანიც გახლავთ ინდუსტრიებში დასაქმებულთა ცოდნის გაღრმავება და უნარების გაუმჯობესება.
  ტრენინგები ხორციელდება კერძო სექტორის საჭიროებისა და არსებული მსოფლიო ტენდეციების გათვალისწინებით შემუშავებულ თემატიკებში. ამ ეტაპზე დაიგეგმა ტრენინგი : „ინკლუზიური ტურები და მისაწვდომი სერვისები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
  ტრენინგი გაიმართა ქალაქ წყალტუბოში, კერძოდ, სასტუმრო პრომეთეში. ტრენინგში მონაწილეობდა 2 მამაკაცი და 23 ქალბატონი.

ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემატიკებს:

1. მისაწვდომი საფეხმავლო მარშუტები.
2. მისაწვდომი საკემპინგე ბანაკები.
3. ჟესტური ენის ინტეგრირება ტურებში.
4. ინკლუზიური სათავგადასავლო ტურების შემუშავება.
5. მისაწვდომი კულტურული ტურების შემუშავება.

6. ციფრული მისაწვდომობა მუზეუმებისთვის და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისთვის.

- ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი როგორც მოგეხსენებათ იმერეთის ბარმენთა ასოციაციასთან გააფორმა მემორანდუმი, რაც ითვალისწინებს შემდეგს:

  ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში გადამზადდეს - საერთაშორისო ხარისხის მქონე სერთიფიკატის სტანდარტების დაცვით მოქმედი და დამწყები ბარმენები და მოხდეს მათი დასაქმება. პროექტი წარმატებით მიმდინარეობს 2024 წელსაც, რომელიც დადასტურებულია მონიტორინგით კვალიფიცირებული კადრების მხრიდან.

ღონისძიებები:

2024 წლის 24 აპრილს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრისა და ქუთაისის ბარმენთა აკადემიასთან კოლაბორაციით, ქ.წყალტუბოში, კერძოდ სასტუმრო პლაზაში, ჩატარდა ,,IBA Bartending Course"-ის დასკვნითი ღონისძიება.

კურსდამთავრებულებს გადაეცათ საერთაშორისო დონის სერთიფიკატები. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო და სერთიფიკატები გადაეცათ 3 გოგოს და 3 ბიჭს.